დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

იანვარი, 2025

ათენის დიასპორულმა ორგანიზაციამ „დიონისე“ შობის დღესასწაული და დაარსებიდან 10 წლის იუბილე აღნიშნა

5 იანვარს, ქ. ათენში მოქმედმა ქართულ-ბერძნულმა თეატრალურმა კულტურულმა ორგანიზაციამ - „დიონისე“ (ხელმძღვანელი თამარ სამხარაძე) დაარსებიდან 10 წლის აღსანიშნავი საშობაო კონცერტი გამართა. საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ „დიონესესთან“ არსებული შემოქმედებითი ჯგუფები და თეატრალური დასის სამი თაობის მსახიობები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

მადრიდის საკვირაო სკოლამ ,,აისი” შობა-ახალი წელი იზეიმა

5 იანვარს, მადრიდის ქართულ საკვირაო სკოლაში ,,აისი” (ხელმძღვანელი ლაშა ჩადუნელი) შობა-ახალი წელი იზეიმეს. ,,აისელებმა” მათთან საჩუქრებით მობრძანებულ თოვლის ბაბუას უმღერეს, საახალწლო ლექსები წაუკითხეს და ქართული ცეკვები შეასრულეს. ბასკეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, დავით გოცირიძემ, რომელიც თავის ოჯახთან ერთად მუდამ გულშემატკივრობს სკოლა „აისს“ და ცდილობს სამშობლოსგან შორს მყოფი პატარა ქართველების გახარებას, სკოლის აღსაზრდელებს ხელნაკეთი სამკაულები და სხვა სუვენირები გამოუგზავნა საჩუქრად, ხოლო საქართველოდან, კერძოდ, ვანის რაიონის შუამთის ბიბლიოთეკის თანამშრომლებისაგან საკვირაო სკოლამ საჩუქრად ქართული წიგნები მიიღო.

ათენის „ქართული სახლის“ საკვირაო სკოლა ახალ წელს ახალი სპექტაკლით შეხვდა

5 იანვარს, ქალაქ ათენის ,,ქართულ სახლთან'' (ხელმძღვანელი დარეჯან ღამბაშიძე) არსებულ ვახტანგ VI სახელობის საკვირაო სკოლაში გამართულ საახალწლო ზეიმზე, სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ლამაზი სცენოგრაფით, ქართული ხალხური ზღაპრის „მგელი და კრავი“ საკუთარი ინსცენირება წარმოადგინეს, რომელშიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას უფროსკლასელებიც იღებდნენ.
სპექტაკლს ესწრებოდნენ „ქართული სახლის“ წევრები, ქართული დიასპორული საზოგადოება და სპექტაკლის ორგანიზებაში აქტიურად ჩართული მშობლები.

ტორონტოს ქართულმა კულტურულმა ცენტრმა „ივერიონი“ შობის დღესასწაული იზეიმა

5 იანვარს, ტორონტოს კულტურული ცენტრის „ივერიონი“ ორგანიზებით გაიმართა საშობაო ღონისძიება, რომელშიც ცენტრთან არსებულმა ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა.
ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათის იყო და წელსაც, როგორც წინა წლებში ღონისძიებაზე შემოსული თანხა საქართველოში შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცემათ.

სანქტ-პეტერბურგის ქართულმა საკვირაო სკოლამ საშობაო ზეიმი გამართა

7 იანვარს, სანქტ-პეტერბურგის ქართულ საკვირაო სკოლაში ჩატარდა საშობაო ღონისძიება კონცერტით (ხელმძღვანელი ბაია ხორავა), რომელშიც სკოლის მოსწავლეებმა იმღერეს ქართული საახალწლო სიმღერები და წაიკითხეს ლექსები.
ზეიმზე ნაჩვენები იქნა აღნიშნული ზეიმისათვის სპეციალურად მომზადებული ვიდეოფილმი.

პროექტი „ქართული ხმები ისრაელიდან“

11 იანვარს, ისრაელში მოქმედმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ (ხელმძღვანელი მარინა გელაშვილი) ახალი პროექტი სახელწოდებით „ქართული ხმები ისრაელიდან“ განხორციელება დაიწყო.
პროექტის ფარგლებში პირველი შეკრება ქალაქ აშდოდში მოქმედი ანსამბლის „საპოვნელა“ (დამაარსებელი და ხელძღვანელი დიანა ბენიაშვილი) წევრებთან გაიმართა. აღნიშნულ შეკრებაზე „საპოვნელას“ და ქართული ხელოვნების ცენტრის მომღერლებმა დაამუშავეს ძველი ლაზური სიმღერა, რომლითაც, ხელმძღვანელების თქმით, მალე წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. ხსენებულ პროექტში მოწვეულები არიან, ასევე, მუსიკოსები საქართველოდან ნათია სუდაძე და თენგიზ გაბაიძე.

ათენის დიასპორულმა ორგანიზაციამ „დიონისე“ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დადგა

12 იანვარი ქ. ათენში, მოსხატოს კულტურის ცენტრში, ქართული თეატრალური ორგანიზაცია ,,დიონისე'' ქართველი და ბერძენი მაყურებელის წინაშე ახალი პრემიერით წარსდგა - ნოდარ დუმბაძის რომანის მიხედვით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ითამაშეს. სპექტაკლში მონაწილეობას ღებულობდნენ სამი თაობის მსახიობები. ინსცენირება საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულმა მწერალმა მირიან ზალოშვილმა დაწერა, სპექტაკლის მხატვარ-დეკორატორი იყო ათენში მცხოვრები ემიგრანტი გოჩა ხოსროშვილი, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა ეკუთვნის „დიონისეს“ ხელმძღვანელს თამარ სამხარაძეს.
სპექტაკლს ესწრებოდნენ ათენში არსებული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები და საქართველოს საელჩოს მრჩეველი ვარლამ ბაძაღუა.

ბერლინში ქართულმა საკვირაო სკოლამ მონაწილეობა მიიღო ქართული სამრევლოს საზეიმო წირვაში

12 იანვარს, ქალაქ ბერლინის გერმანულ ევანგელისტურ ტაძარში (Evangelische Kirchengemeinde Tiergarten), ბერლინის ქართულმა სამრევლომ წირვა აღავლინა, რომელსაც ქართველი სასულიერო პირები უძღვებოდნენ. ევანგელისტური ეკლესიის შენობაში, რომელიც გერმანულმა მხარემ ქართულ სამრევლოს დაუთმო, მღვდელმსახურება ქართულად თვეში სამჯერ ჩატარდება. ბერლინის ქართული დიასპორის წევრებისთვის ტაძარი მნიშვნელოვან სულიერ კერად იქცევა.
წირვის დასრულების შემდეგ ბერლინის ქართულ საკვირაო სკოლასთან „ანი ბანი“ არსებულმა სიმღერის გუნდმა მრევლის წინაშე შეასრულა ქართული მრავალჟამიერი და საშობაო ალილო. საკვირაო სკოლის გუნდმა დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებისა და სასულიერო პირების მხრიდან.

ფრაიბურგში ახლადდაარსებული ქართული საკვირაო სკოლა პირველ ახალ წელს ზეიმობს

12 იანვარს, გერმანიის ქალაქ ფრაიბურგის ახლადდაარსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ (ხელმძღვანელი ელისო ბზიავა) საახალწლო ზეიმი გამართა. სკოლის მოსწავლეებმა ზეიმზე მისულ სტუმრებს, ახალი წელი ქართული ცეკვით, სიმღერებითა და ლექსებით მიულოცეს.

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ქართული საკვირაო სკოლა „ათინათი“ გაიხსნა

12 იანვარს, ქართული დიასპორული ასოციაცია „საქართველოს“ ინიციატივით და ახალგაზრდული ორგანიზაციის „Stowarzyszenie Semper Avanti“-ს მხარდაჭერით, პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლა „ათინათი“. საკვირაო სკოლაში პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ბავშვები შეისწავლიან ქართულ წერა-კითხვას, საქართველოს ისტორიის, ქართულ ლიტერატურას და აზიარებენ ქართულ ტრადიციებს.

ქართული საკვირაო სკოლის გახსნის ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ასოციაციის „საქართველო“ ხელმძღვანელმა გიორგი გეთიამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული საკვირაო სკოლის დაარსება-ფუნქციონირება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ვროცლავში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ ბავშვებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში, ასევე, ქართულ-პოლონური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეშიც.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საპატიო კონსული ქალაქ ვროცლავში ვოიჩეხ ვრობელი, ვროცლავის მერიის წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში სარა ბლეივასი, ასოციაციის „Semper Avanti“ წარმომადგენელი ირაკლი მჟავანაძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქართული კუთხე და ქართული კერძები და სასმელები დააგემოვნეს.

კახის რაიონის ქართულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ბაქოში სპექტაკლი „ლენქორანის ხანის ვეზირი“ ქართულ ენაზე ითამაშა

14 იანვარს, ქ. ბაქოში, აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიურ ეროვნულ დრამატულ თეატრში, კახის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. ქართული თეატრის დასმა ბაქოელ მაყურებელს მირზა ფათალი ახუნდ-ზადეს კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“ ქართულ ენაზე წარუდგინა.

პრემიერას აზერბაიჯანის ფართო საზოგადოება, აზერბაიჯანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ პატარაძე, საელჩოს თანამშრომლები და აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები ესწრებოდნენ.

ისრაელის ქართული საკვირაო სკოლის მასწავლებელი ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს ეწვია

14 იანვარს, თბილისში, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს ეწვია ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „მამული“ წევრი და მასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის „მამული“ პედაგოგი და ორგანიზატორი ნატო კიკაჩეიშვილი. მუზეუმში ქალბატონ ნატოს მეგზურობა გაუწია მწერლის ქალიშვილმა, მანანა დუმბაძემ, რომელიც ისრაელში დიპლომატიური მისიით მსახურობის დროს, თავად მუშაობდა მოხალისედ საკვირაო სკოლაში და ემიგრანტ ბავშვებს საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას ასწავლიდა. ნატო კიკაჩეიშვილმა მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნში, ისრაელში ქართული საკვირაო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეების დაბარებული კეთილი სურვილები ჩაწერა, ხოლო მანანა დუმბაძემ ბავშვებს საჩუქრად, ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების კრებული გაუგზავნა.



სომხური კულტურის ფონდი ქართულ სათვისტომოსთან თანამშრომლობას დადებითად აფასებს

14 იანვარს, ერევანში, სომხური კულტურის ფონდში მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ცნობილი მწერლები, პოეტები, მხატვრები და საზოგადო მოღვაწეები. შეხვედრის მონაწილეებმა შეაჯამეს 2024 წლის მიღწევები და წარმოადგინეს 2025 წლის გეგმები. გაიმართა დისკუსიები მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. საუბარი შეეხო მეზობელ ქვეყნებთან, ირანთან და საქართველოსთან კულტურული, პოლიტიკური და მეგობრული კავშირების გაღრმავებას. კულტურის ფონდის პრეზიდენტმა არევშატ ავაგიანმა (Arevshat Avagyan) დადებითად შეაფასა სომხური კულტურის ფონდის სომხეთის ქართულ სათვისტომოსთან - „ივერიასთან“ - თანამშრომლობა. აღნიშნულ შეხვედრაზე ივერიელებმა მადლობა გადაუხადეს მკვლევარ/მწერალ არმენაკ ღაზარიანს გაზეთში „სამშობლოსათვის“ წიგნზე - „ქართველები სომხეთში“ - გამოქვეყნებული სტატიისათვის.

ლონდონში ძიუდოს ქართულ კლუბ „ფალავანს“ 10 წელი შეუსრულდა

16 იანვარს, გაერთიანებულ სამეფოში საქმეთა დროებითი რწმუნებული გიორგი საგანელიძე ქ. ლონდონში არსებულ ძიუდოს კლუბ „ფალავანს” ეწვია და მის დამფუძნებელსა და მწვრთნელ ლევან გოგინაშვილს კლუბის იუბილე და გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები თანამემამულეების სპორტული განვითარებისათვის მოღვაწეობის 10 წელი მიულოცა.

2019 წელს, ლევან გოგინაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართული სპორტის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. ამჟამად, კლუბს ჰყავს ბრიტანეთის ხუთი ჩემპიონი (სხვადასხვა კატეგორიებში), ევროპის თასის მფლობელი, ინგლისის სამი ჩემპიონი და სამი პრიზიორი. კლუბს, ასევე, ჰყავს საერთაშორისო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულები და ქართული ჭიდაობის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

გაერთიანებულ სამეფოში საქმეთა დროებითი რწმუნებული ქართული ცეკვის სტუდიას „ქართული ლეგენდა“ ეწვია

17 იანვარს, გაერთიანებულ სამეფოში საქმეთა დროებითი რწმუნებული, გიორგი საგანელიძე ეწვია ქ. ლონდონში არსებულ ქართული ნაციონალური ცეკვის სტუდიას „ქართული ლეგენდა - The Georgian Legend". გიორგი საგანელიძე შეხვდა სტუდიის ხელმძღვანელს, ლიკა გიგინეიშვილს და მის მოსწავლებს. საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ საგრანტო პროგრამებზე ისაუბრა. თავის სიტყვაში მან ხაზი გაუსვა საზღვარგარეთ ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლს უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში და ქართული ნაციონალური ცეკვის უნიკალურობა აღნიშნა. გიორგი საგანელიძემ სტუდიის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა წარმატებული საქმიანობისათვის და საელჩოს მხარდაჭერა დაუდასტურა.

ისრაელში ქართულმა საკვირაო სკოლამ ახალი წელი იზეიმა

18 იანვარს, ისრაელის ქალაქ ბათ-იამის საავტორო სკოლა „ფლუენტის აკადემიაში“ მოქმედმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „მამული“ საახალწლო ზეიმი გამართა. ქართული დიასპორული ორგანიზაციის „მამული“ ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი წელი მიულოცა და წარმატებული სასწავლო წლისათვის მადლობა გადაუხადა. სკოლის აღსაზრდელებმა დამსწრე საზოგადოებას ახალი წელი ქართული სკეტჩებით, ლექსებითა და სიმღერებით მიულოცეს. თოვლის ბაბუამ ზეიმის მონაწილეებს საახალწლო საჩუქრები დაურიგა.

ვოლგოგრადში ანსამბლ „საირმეს“ დაარსების 25 და მისი ხელმძღვანელის, სოსო გოგსაძის 60 წლის იუბილე აღნიშნეს

20 იანვარს, ქ. ვოლგოგრადში „ქართველთა საოლქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „იბერია“ (თავმჯდომარე - სოსო გოგსაძე) კავკასიური ცეკვების სკოლის „საირმე“ 25 წლის იუბილე აღნიშნა და მის ხელმძღვანელს, ქორეოგრაფ სოსო გოგსაძეს 60 წლის იუბილე მიულოცა. ღონისძიებაზე მოწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსული სოზარ კვინჩია, ვოლგოგრადის ოლქისა და ქალაქის ოფიციალური პირები, რუსეთში სხვადასხვა ქალაქებში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ასევე, საპატიო სტუმრები საქართველოს სხვადასხვა ქორეოგრაფიული ანსამბლებიდან.

გაერთიანებული სამეფოს პირველმა ქართულმა სკოლამ ლონდონში სპექტაკლი - „შუა ქალაქი ლონდონის შუა ქალაქში” - დადგა

24 იანვარს, ქ. ლონდონში, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის (ხელმძღვანელი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი) ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა სკოლის მიერ დადგმული სპექტაკლის - „შუა ქალაქი ლონდონის შუა ქალაქში“ ჩვენება. სპექტაკლს ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქმეთა დროებითი რწმუნებული გიორგი საგანელიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. გიორგი საგანელიძემ მადლობა გადაუხადა სკოლის ხელმძღვანელობას და პედაგოგებს საზღვარგარეთ მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების, ასევე, ქართული ენისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში გაწეული წვლილისთვის. აღსანიშნავია, რომ ლონდონის მერიამ უკვე არაერთგზის დააჯილდოვა გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლა და ევროპული სათვისტომოს ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად აღიარა.

თესალონიკში მცხოვრები ქართველი პოეტის ელგუჯა ციგროშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა



25 იანვარს, შალვა კამლაძის საავტორო ლიტერატურული პროექტის „ლექსი კალიგრაფში“ და ქართულ-ბერძნული ასოციაციის „თერგი“ (ხელმძღვანელი ია ხუროშვილი) ეგიდით, თესალონიკში მცხოვრები პოეტის, ელგუჯა ციგროშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.
საღამოს ესწრებოდნენ თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული, გელა ჯაფარიძე, გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, თესალონიკში მოღვაწე ქართველი პოეტები და ემიგრანტები.
საღამოზე მისულ სტუმრებს გენერალურმა კონსულმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა და სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა ელგუჯა ციგროშვილი, აგრეთვე, პროექტის ავტორს შალვა კამლაძეს, საზღვარგარეთ ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქართველი ემიგრანტი ქალების ორგანიზაციას უმასპინძლა

26 იანვარს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ბერიძემ, საბერძნეთში საქართველოს კონსულთან, მამუკა ჯამბაზიშვილთან და საელჩოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საელჩოს ოფისში, ქ. ათენში მოქმედ ,,ემიგრანტ ქალთა პირველი დიასპორული კონფერენციის“ ბაზაზე დაფუძნებული ორგანიზაციის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორგანიზაციის მიზნები და სამომავლო გეგმები, ასევე, ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ქარტია, რომელიც, ძირითადად ემიგრანტი ქალებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვას ემსახურება. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა დიასპორის წარმომადგენლებსა და საელჩოს ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. საელჩომ თავის მხრივ გამოთქვა მზაობა კულტურის, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მიმართულებით ემიგრანტი ქალების აქტივობების მხარდასაჭერად.



სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში ქართული მხატვრული ფილმის „ფესვები“ ჩვენება გაიმართა

26 იანვარს, ქ. სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ქართული მხატვრული ფილმის „ფესვები“ ჩვენება ქართულ ენაზე (თურქული ტიტრებით). ჩვენებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარე ორჰან ბერიძე.

ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ხელით გადაწერის ცერემონიალი, რომელიც წარმოადგეს სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივ პროექტს სახელწოდებით „იწერება ვეფხისტყაოსანი თურქეთში“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის ცენტრის წევრები და ასევე, ქ. ბურსას გემლიქის რაიონის თურქეთის განათლების სამინისტროს გემლიქის სახალხო განათლების ადმინისტრაციის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი ნაზიბროლა ბერიძე.

აზერბაიჯანის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში ქართველებმა ნინოობა იზეიმეს

27 იანვარს, ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) თანმხლებ სასულიერო პირებთან და მონაზვნებთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონს ესტუმრა. მეუფე თეოდორემ საზეიმო წირვა-ლოცვა აზერბაიჯანის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში მამა პეტრესთან, მამა ნიკოლოზთან და ახლად ხელდასხმულ მამა ტარიელთან ერთად აღავლინა. ზეიმს საქართველოს მხრიდან - აზერბაიჯანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ პატარაძე და ქ. განჯაში გენერალური კონსული, კახაბერ აბდალაძე, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ქართველთა მრევლი დაესწრო. აზერბაიჯანის მხრიდან კი - კახის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მუსა შექილიევი, რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის რეგიონული წარმომადგენელი, ილგარ ველიევი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

ისრაელში ქართულმა დიასპორულმა ანსამბლმა „ფესვები“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა

30 იანვარს, ისრაელში ქართული დიასპორული ორგანიზაციის, ანსამბლის „ფესვები“ (ხელმძღვანელი მიხეილ ბარამაშვილი) და ქალაქ ბათ-იამში არსებული ქართული რესტორნის „ღვინის ფესვები“ ორგანიზებით, ქ. ბათ-იამის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი - „გავერთიანდეთ სესილისათვის“ გაიმართა.
კონცერტში მონაწილეობა საქართველოდან მოწვეულმა და ისრაელში მცხოვრებმა მუსიკოსებმა მიიღეს.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO